

შპს „Gud company გუდ კომპანი“

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შპს „Gud company გუდ კომპანი“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა3-5

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 6

მოგება- ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 7

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 8

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება 9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები10-34

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „Gud company გუდ კომპანი“-ს ხელმძღვანელობას

მოდიფიცირებული მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „Gud company გუდ კომპანი“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე ამ თარიღით დასრულებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, კაპიტალში ცვლილების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის “მოდიფიცირებული მოსაზრების საფუძველი” ნაწილში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობას და ფულის მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოდიფიცირებული მოსაზრების საფუძველი

კომპანიის აუდიტორებად დავინიშნეთ 2022 წლის 18 ივლისს, შესაბამისად, ვერ დავაკვირდით 2021 წლის ბოლოს კომპანიის მიერ ჩატარებულ მარაგების ინვენტარიზაციებს. აღნიშნულიდან გამომდინარე ვერ დავადასტურეთ 2021 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული მარაგების რაოდენობის სისწორე, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იყო 3,866,338 ლარის ღირებულებით.

ჩვენ ვერ დავაკვირდით 2021 წლის ბოლოს კომპანიის სალაროებში ჩატარებულ ფულის დათვლის პროცედურას. შესაბამისად ვერ დავადასტურეთ 2021 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული ნაღდი ფულის რაოდენობა სალაროში, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იყო 59,914 ლარის ოდენობით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ვერ შევძელით იმის დადგენა, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ მარაგებთან დაკავშირებით, აგრეთვე სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „Gud company გუდ კომპანი“-ს ხელმძღვანელობას

მოდიფიცირებული მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „Gud company გუდ კომპანი“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე ამ თარიღით დასრულებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, კაპიტალში ცვლილების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის “მოდიფიცირებული მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობას და ფულის მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოდიფიცირებული მოსაზრების საფუძველი

კომპანიის აუდიტორებად დავინიშნეთ 2022 წლის 18 ივლისს, შესაბამისად, ვერ დავაკვირდით 2021 წლის ბოლოს კომპანიის მიერ ჩატარებულ მარაგების ინვენტარიზაციებს. აღნიშნულიდან გამომდინარე ვერ დავადასტურეთ 2021 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული მარაგების რაოდენობის სისწორე, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იყო 3,866,338 ლარის ღირებულებით.

ჩვენ ვერ დავაკვირდით 2021 წლის ბოლოს კომპანიის სალაროებში ჩატარებულ ფულის დათვლის პროცედურას. შესაბამისად ვერ დავადასტურეთ 2021 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული ნაღდი ფულის რაოდენობა სალაროში, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იყო 59,914 ლარის ოდენობით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ვერ შევძელით იმის დადგენა, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ მარაგებთან დაკავშირებით, აგრეთვე სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში.

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში.

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ▶ თანხვედრაშია 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- ▶ მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს აქვს თუ არა კომპანიას უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადავსებთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მიუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში.

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ▶ თანხვედრაშია 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- ▶ მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს აქვს თუ არა კომპანიას უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ

პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგვემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.


ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დაფასკვნიტ, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

30 სექტემბერი 2022

შპს „ინოქსი“



ივანე ღვინიაშვილი
გარიგების პარტნიორი



აუდიტორული ფირმის სარეგისტრაციო ნომერი - SARAS-F-481994

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი - SARAS-A-301483

პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

30 სექტემბერი 2022

შპს „ინოქსი“

ივანე ღვინიაშვილი
გარიგების პარტნიორი

აუდიტორული ფირმის სარეგისტრაციო ნომერი - SARAS-F-481994
აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი - SARAS-A-301483

შპს „Gud company გუდ კომპანი“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	1,058,249	871,604
არამატერიალური აქტივები	9	54,169	58,593
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,112,418	930,197
მარაგები	5	3,866,338	4,173,488
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	6	5,307,862	5,226,588
საგადასახადო აქტივები	7	185,803	294,788
სხვა აქტივები		68,608	82,178
ფული და ფულის ეკვივალენტები	4	121,923	86,491
სულ მიმდინარე აქტივები		9,550,534	9,863,533
სულ აქტივები		10,662,952	10,793,730
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	10	364,163	168,159
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		364,163	168,159
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	11,468,818	11,494,280
მიღებული სესხები		31,344	-
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე		146,953	130,448
მიღებული ავანსები		34,149	22,841
საიჯარო ვალდებულებების მიმდინარე ნაწილი	10	431,261	404,591
სულ მიმდინარე ვალდებულებები		12,112,525	12,052,160
სულ ვალდებულებები		12,476,688	12,220,319
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	12	-	-
აკუმულირებული მოგება/(ზარალი)		(1,813,736)	(1,426,589)
სულ კაპიტალი		(1,813,736)	(1,426,589)
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		10,662,952	10,793,730

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

ნუკრი თანდილაშვილი

ია არაბიძე

10 -34 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს



შპს „Gud company გუდ კომპანი“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	1,058,249	871,604
არამატერიალური აქტივები	9	54,169	58,593
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,112,418	930,197
მარაგები	5	3,866,338	4,173,488
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	6	5,307,862	5,226,588
საგადასახადო აქტივები	7	185,803	294,788
სხვა აქტივები		68,608	82,178
ფული და ფულის ეკვივალენტები	4	121,923	86,491
სულ მიმდინარე აქტივები		9,550,534	9,863,533
სულ აქტივები		10,662,952	10,793,730
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	10	364,163	168,159
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		364,163	168,159
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	11,468,818	11,494,280
მიღებული სესხები		31,344	-
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე		146,953	130,448
მიღებული ავანსები		34,149	22,841
საიჯარო ვალდებულებების მიმდინარე ნაწილი	10	431,261	404,591
სულ მიმდინარე ვალდებულებები		12,112,525	12,052,160
სულ ვალდებულებები		12,476,688	12,220,319
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	12	-	-
აკუმულირებული მოგება/(ზარალი)		(1,813,736)	(1,426,589)
სულ კაპიტალი		(1,813,736)	(1,426,589)
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		10,662,952	10,793,730

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

ნუკრი თანდილაშვილი

ია არაბიძე

შპს „Gud company გუდ კომპანი“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2021	2020
შემოსავალი რეალიზაციიდან	13	21,249,764	22,494,093
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	14	(14,319,824)	(15,237,639)
საერთო მოგება		6,929,940	7,256,454
საკომისიო შემოსავლები	15	-	513,265
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	16	(2,126,209)	(1,745,847)
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები	17	(4,693,615)	(4,829,049)
არასაოპერაციო ხარჯები	18	(171,017)	(76,377)
არასაოპერაციო შემოსავლები		168,207	240,059
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)		1,335	(2,539)
სხვა საგადასახადო ხარჯი		(16,899)	(28,456)
საეჭვო მოთხოვნების რეზერვის ხარჯი/შემოსავალი	6	(470,593)	(1,420,356)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(378,851)	(92,846)
მოგების გადასახადის ხარჯი		(8,296)	(22,307)
წმინდა მოგება/(ზარალი)		(387,147)	(115,153)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
მიმდინარე წლის სრული ზარალი		(387,147)	(115,153)

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი

ნუკრი თანდილაშვილი

მთავარი ბუღალტერი

ია არაბიძე



შპს „Gud company გუდ კომპანი“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2021	2020
შემოსავალი რეალიზაციიდან	13	21,249,764	22,494,093
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	14	(14,319,824)	(15,237,639)
საერთო მოგება		6,929,940	7,256,454
საკომისიო შემოსავლები	15	-	513,265
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	16	(2,126,209)	(1,745,847)
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები	17	(4,693,615)	(4,829,049)
არასაოპერაციო ხარჯები	18	(171,017)	(76,377)
არასაოპერაციო შემოსავლები		168,207	240,059
საკუთრო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)		1,335	(2,539)
სხვა საგადასახადო ხარჯი		(16,899)	(28,456)
საექვო მოთხოვნების რეზერვის ხარჯი/შემოსავალი	6	(470,593)	(1,420,356)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(378,851)	(92,846)
მოგების გადასახადის ხარჯი		(8,296)	(22,307)
წმინდა მოგება/(ზარალი)		(387,147)	(115,153)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
მიმდინარე წლის სრული ზარალი		(387,147)	(115,153)

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

ნუკრი თანდილაშვილი

ია არაბიძე

შპს „Gud company გუდ კომპანი“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	შენიშვნა	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		(387,147)	(115,153)
წლის მოგება			
კორექტირებები:			
საპროცენტო ხარჯი		52,978	38,276
ცვეთა და ამორტიზაცია	17	493,730	383,282
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა		-	(34,583)
უცხოურ ვალუტაში ოპერ. მიღებული მოგება/(ზარალი)		(1,355)	2,539
საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილება:			
ცვლილება მარაგებში	5	307,151	(901,922)
ცვლილება დებიტორულ დავალიანებაში	6	(67,705)	617,695
ცვლილება საგადასახადო ვალდებულებებში		108,985	(157,038)
ცვლილება კრედიტორულ დავალიანებაში	11	2,352	658,094
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		509,009	491,190
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		509,009	491,190
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	8,9	(39,388)	(80,138)
ძირითადი საშუალებების გასვლა		60,864	66,530
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		21,476	(13,607)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
საიჯარო ვალდებულებების გადახდა		(495,053)	(464,739)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		(495,053)	(464,739)
ნაშთი წლის დასაწყისში		86,491	73,647
წმინდა ზრდა/(კლება) წლის განმავლობაში		35,432	12,844
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	4	121,923	86,491


დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

ნუკრი თანდღილაშვილი

ია არაბიძე



Handwritten signature in blue ink.

შპს „Gud company გუდ კომპანი“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	შენიშვნა	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება		(387,147)	(115,153)
კორექტირებები:			
საპროცენტო ხარჯი		52,978	38,276
ცვეთა და ამორტიზაცია	17	493,730	383,282
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა		-	(34,583)
უცხოურ ვალუტაში ოპერ. მიღებული მოგება/(ზარალი)		(1,355)	2,539
საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილება:			
ცვლილება მარაგებში	5	307,151	(901,922)
ცვლილება დებიტორულ დავალიანებაში	6	(67,705)	617,695
ცვლილება საგადასახადო ვალდებულებებში		108,985	(157,038)
ცვლილება კრედიტორულ დავალიანებაში	11	2,352	658,094
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		509,009	491,190
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		509,009	491,190
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	8,9	(39,388)	(80,138)
ძირითადი საშუალებების გასვლა		60,864	66,530
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		21,476	(13,607)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
საიჯარო ვალდებულებების გადახდა		(495,053)	(464,739)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		(495,053)	(464,739)
ნაშთი წლის დასაწყისში		86,491	73,647
წმინდა ზრდა/(კლება) წლის განმავლობაში		35,432	12,844
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	4	121,923	86,491

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

ნუკრი თანდილაშვილი

ია არაბიძე

შპს „Gud company გუდ კომპანი“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდები კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/(ზარალი)	სულ კაპიტალი
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(1,311,436)	(1,311,436)
ცვლილება საწესდებო კაპიტალში პერიოდის წმინდა მოგება/(ზარალი)	-	-	-
	-	(115,153)	(115,153)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(1,426,589)	(1,426,589)
ცვლილება საწესდებო კაპიტალში პერიოდის წმინდა მოგება/(ზარალი)	-	-	-
	-	(387,147)	(387,147)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(1,813,736)	(1,813,736)

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

ნუკრი თანდილაშვილი

ია არაბიძე



შპს „Gud company გუდ კომპანი“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდები კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/(ზარალი)	სულ კაპიტალი
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(1,311,436)	(1,311,436)
ცვლილება საწესდებო კაპიტალში	-	-	-
პერიოდის წმინდა მოგება/(ზარალი)	-	(115,153)	(115,153)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(1,426,589)	(1,426,589)
ცვლილება საწესდებო კაპიტალში	-	-	-
პერიოდის წმინდა მოგება/(ზარალი)	-	(387,147)	(387,147)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(1,813,736)	(1,813,736)

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

ნუკრი თანდილაშვილი

ია არაბიძე

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

შინაარსი

1. ზოგადი ინფორმაცია	11
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა.....	11
3. IASB-ს მიერ გამოცემული ახალი ან განახლებული სტანდარტები და განმარტებები	22
4. ფული და ფულის ეკვივალენტები	23
5. მარაგები	24
6. მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	25
7. საგადასახადო აქტივები	25
8. ძირითადი საშუალებები	25
9. არამატერიალური აქტივები	26
10. საიჯარო ვალდებულებები	26
11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	27
12. შემოსავალი რეალიზაციიდან	27
13. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება.....	27
14. საკომისიო შემოსავლები	27
15. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	28
16. რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯი	28
17. არასაოპერაციო ხარჯები	28
18. მოგების გადასახადი	28
19. გაუთვალისწინებელი გარემოებები	29
20. ფინანსური რისკების მართვა	29
21. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	33
22. მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდეგ	34

შპს „Gud company გუდ კომპანი“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

1 ზოგადი ინფორმაცია

შპს „Gud company გუდ კომპანი“ (შემდგომში „კომპანია“) არის 2013 წლის 27 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ს/კ 400107406. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ.თბილისი, გ.ჭყონდიდელის ქ.# 26.

კომპანიის წილი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განაწილებულია შემდეგნაირად:

ვლადიმერ კაველაშვილი	10%
ნუკრი თანდილაშვილი	19%
შპს ბი და ჯი კომპანი	30%
შპს კალინა ჯორჯია	41%

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა დაკავშირებული მხარეების მიერ იმპორტირებული საყოფაცხოვრებო ქიმიის, ჰიგიენური საშუალებებისა და საკვები პროდუქციის დისტრიბუცია. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ქვეყნის მასშტაბით ფლობს 3 ადმინისტრაციულ ოფისს თბილისში, ქუთაისსა და გორში.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა შეადგენს 151 თანამშრომელს (2020: 173 თანამშრომელი).

2 ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჟოს (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) თანახმად, რომლებიც ძალაშია 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ცვლილება სააღრიცხვო შეფასებაში

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია მოსალოდნელი ზარალის შესაფასებლად იყენებდა გამარტივებულ მიდგომას რომელიც დაფუძნებულია ვადაგადაცილებულ დღეებზე. კომპანიას გათვალისწინებული ჰქონდა 5 ვადაგადაცილების დონე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის პროცენტი დაფუძნებული იყო კომპანიის საოპერაციო სექტორსა და მის წარსულ გამოცდილებაზე. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება საკრედიტო ზარალის პროცენტის შეფასებაში გაითვალისწინოს სექტორისთვის დამახასიათებელი მაკროეკონომიკური მაჩვენებელი. სააღრიცხვო შეფასებაში მომხდარი ცვლილებების შედეგი აისახა პერსპექტიულად სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

შპს „Gud company გუდ კომპანი“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

სააღრიცხვო პოლიტიკა

შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

მზა პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია შეასრულებს ნაკისრ მოვალეობას, ე.ი. დროის იმ მომენტში, როდესაც საქონელზე კონტროლი მყიდველს გადაეცემა, როგორც წესი, საქონელი მიეწოდება მომხმარებელს, როცა მომხმარებელს სრული კონტროლი აქვს საქონელზე და არ არსებობს შეუსრულებელი მოვალეობა, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მომხმარებლის მიერ საქონლის მიღებაზე. მიწოდება ხდება მაშინ, როდესაც საქონელი მიწოდებული იქნება კონკრეტულ ადგილზე.

როდესაც მომხმარებლისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების პროცესში სხვა მხარე მონაწილეობს, საწარმომ უნდა განსაზღვროს, რას წარმოადგენს მისი დაპირება: არის თუ არა ეს შესასრულებელი ვალდებულება, რომლის თანახმად მან თვითონ უნდა უზრუნველყოს მომხმარებლისთვის დაპირებული საქონლის ან მომსახურების მიწოდება (ე.ი. მოცემული საწარმო გამოდის პრინციპალის როლში), თუ მას სხვა მხარისთვის ევალება ამ საქონლის ან მომსახურების მიწოდების ორგანიზება (ე.ი. მოცემული საწარმო გამოდის აგენტის როლში).

საწარმო არის პრინციპალი, თუ თვითონ აკონტროლებს დაპირებულ საქონელს ან მომსახურებას მომხმარებლისთვის გადაცემამდე.

კომპანიამ დაასკვნა, რომ შემოსავალთან დაკავშირებულ გარიგებებში პრინციპალის სახით გამოდის, ვინაიდან, როგორც წესი, საქონელს თვითონ აკონტროლებს მომხმარებლებისთვის გადაცემამდე. კრედიტის სტანდარტული ვადა საქონლის გადაცემიდან 30-90 დღეა.

პროდუქციის კონსიგნაციით გაყიდვის დროს, შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საქონელი გადაეცემა საბოლოო მომხმარებელს, ან გარკვეული ვადის გასვლისას, რომლის განმავლობაშიც საცალო მოვაჭრეს შეუძლია გაუყიდავი საქონლის დაბრუნება.

შემოსავლის აღიარება მზა პროდუქციის გაყიდვასთან დაკავშირებით ხდება იმისდა მიხედვით, თუ რა ოდენობის ანაზღაურების მიღებას მოელის კომპანია ამ საქონლის სანაცვლოდ. გარიგების ფასი კორექტირდება მომხმარებლისთვის გადასახდელი თანხით (მაგალითად, სავაჭრო ადგილის გადასახადი - კომპანიის პროდუქციისთვის თაროებზე ადგილის გამოყოფისთვის მომხმარებლისთვის გადახდილი თანხები) და მოცულობის გამო შეთავაზებული ფასდაკლებების მიხედვით.

ცვალებადი ანაზღაურება

თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურება ცვალებად თანხასაც შეიცავს, კომპანია გამოითვლის ანაზღაურების თანხას, რომლის მიღების უფლებაც ექნება მომხმარებლისთვის საქონლის გადაცემის სანაცვლოდ.

ცვალებადი ანაზღაურება განისაზღვრება კონტრაქტის გაფორმებისას და შეზღუდულია, ვიდრე არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ შემოსავლის მნიშვნელოვანი შემობრუნება აღიარებული ერთობლივი შემოსავლის ოდენობით არ მოხდება, როდესაც შესაბამის ცვალებად ანაზღაურებასთან დაკავშირებული განუსაზღვრელობა საბოლოოდ აღმოიფხვრება. მზა პროდუქციის გაყიდვის ზოგიერთი ხელშეკრულება მომხმარებელს საქონლის დაბრუნების უფლებას აძლევს.

შპს „Gud company გუდ კომპანი“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

დაბრუნების უფლება

მზა პროდუქციის გაყიდვის ზოგიერთი ხელშეკრულება მომხმარებელს საქონლის დაბრუნების უფლებას აძლევს გარკვეულ ვადაში. კომპანია მოსალოდნელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით აფასებს, რა საქონელი არ დაბრუნდება, რადგან ეს მეთოდი ყველაზე ზუსტად პროგნოზირებს ცვლადი ანაზღაურების ოდენობას, რომელსაც კომპანია მიიღებს.

სახელშეკრულებო ნაშთები

სახელშეკრულებო აქტივები

სახელშეკრულებო აქტივი არის საქონლის ან მომსახურების მომხმარებლისთვის გადაცემის სანაცვლოდ მათი ღირებულების მიღების უფლება. თუ კომპანია მომხმარებელს საქონელს ან მომსახურებას გადასცემს მომხმარებლის მიერ ანაზღაურების გადახდამდე ან გადახდის თარიღის დადგომამდე, სახელშეკრულებო აქტივის აღიარება ხდება მიღებული პირობითი ღირებულებისთვის. კომპანიას არ აქვს სახელშეკრულებო აქტივები.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება

დებიტორული დავალიანების აღიარება ხდება, თუ ანაზღაურების თანხა უპირობოდ არის მისაღები მომხმარებლისგან (ანუ მხოლოდ დროის გასვლა აუცილებელი ანაზღაურების გადახდის თარიღის დადგომამდე).

სახელშეკრულებო ვალდებულებები

სახელშეკრულებო ვალდებულების აღიარება ხდება მაშინ, თუ მომხმარებლისგან მიიღება გადახდა ან გადახდის ვადა მოდის (რომელიც უფრო ადრე დგება), ვიდრე კომპანია გადასცემს მას შესაბამის საქონელს ან მომსახურებას.

სახელშეკრულებო ვალდებულებების აღიარება შემოსავლად ხდება მაშინ, როდესაც კომპანია ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას (ანუ კონტროლს შესაბამის საქონელსა თუ მომსახურებაზე მომხმარებელს გადასცემს).

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიას სამუშაო ვალუტაა ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც კომპანია ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება საანგარიშგებო თარიღში ხორციელდება ამ თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ გადაფასდება. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსები საანგარიშგებო პერიოდში:

შპს „Gud company გუდ კომპანი“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2021 წლის 31 დეკემბერს	3.09	3.50
გაცვლითი კურსი 2020 წლის 31 დეკემბერს	3.27	4.03

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

ფინანსური აქტივები - პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივები თავდაპირველად და შემდგომში აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით და სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და კომპანიის ბიზნეს მოდელზე, რომელსაც გამოიყენებს მათ სამართავად. გამოწვევისაა სავაჭრო მოთხოვნები, რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა. თავდაპირველად, კომპანია სამართლიანი ღირებულებით აფასებს ფინანსურ აქტივს, იმ შემთხვევაში თუ ფინანსური აქტივი არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით, გარიგების თვითღირებულებით.

სავაჭრო მოთხოვნები რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა, აღირიცხება გარიგების ღირებულებით, ფასს 15-ის შესაბამისად. იმისათვის, რომ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდეს და შეფასდეს ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით, მან უნდა წარმოშვას ფულადი ნაკადები, რომელიც დაკავშირებული იქნება „მხოლოდ ძირის და პროცენტის გადახდებთან“ (SPPI) ნარჩენ ძირ თანხაზე. აღნიშნული შეფასება მოიხსენიება როგორც SPPI ტესტი და ხორციელდება ინსტრუმენტის დონეზე.

ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელი დაკავშირებულია იმასთან თუ როგორ ახდენს კომპანია ფინანსური აქტივების მართვას ფულადი ნაკადების დასაგენერირებლად. ბიზნეს მოდელი განსაზღვრავს, როგორ ხდება ფულადი ნაკადების შემოდინება, იქნება ეს სახელშეკრულებო პირობების მიხედვით, ფინანსური აქტივის გაყიდვით, თუ ორივე ერთად. ფინანსური აქტივის ყიდვა ან გაყიდვა, რაც მოითხოვს აქტივის მიწოდებას მოქმედი რეგულაციით ან ბაზარზე არსებული კონვენციით

შპს „Gud company გუდ კომპანი“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

განსაზღვრულ ვადებში, აღიარდება ვაჭრობის თარიღით, რომელიც წარმოადგენს იმ თარიღს, როდესაც კომპანია ვალდებულებას იღებს, რომ შეიძენს ან გაასხვისებს აქტივს.

შემდგომი აღიარება

შემდგომი აღიარების მიზნებისთვის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება ოთხ კატეგორიად:

- ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვით, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (სასესხო ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვის გარეშე, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (კაპიტალის ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ეს კატეგორია ყველაზე დამახასიათებელია კომპანიისთვის. კომპანია აღრიცხავს ფინანსურ აქტივებს ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა სრულდება:

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივს ბიზნეს მოდელის შესაბამისად, რათა მოახდინოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი და პროცენტის გადახდებს არსებულ ძირითად ნაწილზე.

ფინანსური აქტივები, რომლებიც აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, შემდგომში იზომება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR) და ექვემდებარება გაუფასურებას.

მოგება, ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც მოხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა, შეცვლა ან გაუფასურება. კომპანიის ფინანსური აქტივები, რომლებიც აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს. სავაჭრო მოთხოვნები არის კლიენტებისგან მისაღები თანხები გაწეულ მომსახურებაზე და მიწოდებულ პროდუქციაზე საქმიანობის ჩვეულებრივ პირობებში. თუ თანხების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში ან ნაკლებში, ისინი აღიარდება, როგორც მიმდინარე აქტივები. სხვა შემთხვევაში აღიარდება, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების კომპანიის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური საწყისი ანგარიშგებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა; ან

- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აღიარებს რეზერვს მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებზე (მსდ) ყველა საკრედიტო ინსტრუმენტზე, რომელიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები გამოიანგარიშება სხვაობით სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და სრულ ფულად ნაკადებს შორის, რასაც კომპანია ელოდება რომ მიიღებს, დადისკონტირებულს საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. მოსალოდნელი ფულადი ნაკადები ასევე მოიცავს ფულად შემოდიანებებს გირაოში არსებული აქტივების რეალიზაციიდან ან სხვა საკრედიტო გაუმჯობესებებს, რაც წარმოადგენს სახელშეკრულებო პირობების განუყოფელ ნაწილს.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები აღიარდება ორ ეტაპად. საკრედიტო რისკებისთვის, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არ გაზრდილა საკრედიტო რისკი, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი აღიარდება მომდევნო 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი მოვლენებისთვის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტა. იმ საკრედიტო რისკზე, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა, სავალდებულოა დანაკარგის რეზერვის აღიარება, მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგზე, რომელიც მოსალოდნელია რისკის დარჩენილ სასიცოცხლო ვადაზე, გაუქმების ვადის მიუხედავად (მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მთლიანი სასიცოცხლო ვადა). სავაჭრო მოთხოვნებისთვის და სახელშეკრულებო აქტივებისთვის კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების გამოსათვლელად.

შესაბამისად კომპანია არ ადევნებს თვალს საკრედიტო რისკის ცვლილებას, არამედ აღიარებს დანაკარგის რეზერვს მსდ-ს სასიცოცხლო ვადის მიხედვით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიას შემუშავებული აქვს რეზერვის მატრიცა, რომელიც დაფუძნებულია მის ისტორიულ საკრედიტო დანაკარგის გამოცდილებაზე, მორგებული მის დებიტორებზე და ეკონომიკურ გარემოს სამომავლო ფაქტორებზე.

შპს „Gud company გუდ კომპანი“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ფინანსურ ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები, თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ვალდებულებები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის გავლით, სესხები, სავაჭრო ვალდებულებები, ან ჰეჯირების ინსტრუმენტებად განსაზღვრულ დერივატივად ეფექტურ ჰეჯში. ყველა ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო სესხის და ვალდებულებების შემთხვევაში პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯების გამოკლებით. კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და სესხებს საბანკო ოვერდრაფტის ჩათვლით.

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, როგორც აღწერილია ქვემოთ:

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წლამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღიდან ერთ წლამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

სავაჭრო ვალდებულებები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულების გაუქმება, გათავისუფლება ან ვადის გასვლა. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ახლით ჩანაცვლება იგივე მსესხებლისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია აღიარდება, როგორც არსებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებში აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

შპს „Gud company გუდ კომპანი“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები გაიქვითება და ნეტო თანხა ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე პერიოდში არსებობს იურიდიული ძალის მქონე უფლება, რომ მოხდეს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვა და არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს ვალდებულების გასწორება ან აქტივის რეალიზაცია ერთდროულად ნეტო თანხაზე.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარების დროს აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, თვითღირებულებიდან გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად აღრიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ცვეთის აღიარება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგან იგი ყველაზე მეტად ასახავს აქტივიდან მიღებულ სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. ძირითადი საშუალებების ცვეთი განაკვეთები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

აქტივის ჯგუფი	ცვეთის განაკვეთი
სატრანსპორტო საშუალებები	10-13%
კომპიუტერული ტექნიკა	20-33%
მანქანა-დანადგარები	10%
ავეჯი და სხვა ინვენტარი	16-20%

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი, (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება მოგებაში ან ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე.

აქტივის ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდი გადაისინჯება ყოველწლიურად. საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება შესაბამისად.

შპს „Gud company გუდ კომპანი“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ამორტიზაცია და გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგები, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება ყოველი ფისკალური პერიოდის ბოლოს.

არამატერიალური აქტივების ცვეთის დარიცხვა ხდება კლებადი ნაშთის მეთოდის საფუძველზე 7-8% განაკვეთით. კომპანია არ ფლობს სასარგებლო გამოყენების შეუზღუდავი ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

იჯარა

განსაზღვრება იმისა, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას

იმის განსაზღვრა, შეთანხმება წარმოადგენს (ან შეიცავს) თუ არა იჯარას, იჯარის დასაწყისში ხდება, შეთანხმების არსიდან გამომდინარე. შეთანხმება წარმოადგენს ან მოიცავს იჯარას, თუ მისი მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებადი აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ.

კომპანია, როგორც მოიჯარე

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის კომპანია აღიარებს საიჯარო აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას.

აქტივის გამოყენების უფლება

კომპანია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის აქტივის გამოყენების უფლებას აფასებს თვითღირებულებით დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით და კორექტირდება საიჯარო ვალდებულების შეფასების თანხით. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს: ა) საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას; ბ) საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით; გ) მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს;

შპს „Gud company გუდ კომპანი“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

კომპანია აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთას არიცხავს იჯარის ვადის დაწყებიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი.

საიჯარო ვალდებულება

კომპანია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება ხორციელდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება. თუ ამ განაკვეთის ადვილად განსაზღვრა შეუძლებელია, კომპანია იყენებს ზღვრულ სასესხო განაკვეთი.

საიჯარო გადახდები მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის არსებულ ფიქსირებულ გადახდებს) მიღებული საიჯარო წამახალისებელი გადახდების გამოკლებით; ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, რომლებიც თავდაპირველად შეფასებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ინდექსის, ან განაკვეთის გამოყენებით; თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ კომპანია გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით; შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ კომპანია გამოიყენებს ამ უფლებას და იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმების გადახდას, თუ იჯარის ვადა ასახავს კომპანიას მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ კომპანია საიჯარო ვალდებულებას ზრდის საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტის ასახვით და ამცირებს განხორციელებული საიჯარო გადახდებით. ამასთანავე, კომპანია ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას, თუ ადგილი აქვს საიჯარო ხელშეკრულების პირობების ცვლილებებს.

მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და მის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი, არსებული აქტივის გასაყიდი ფასს გამოკლებული აქტივის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული შეფასებითი დანახარჯები. მარაგების თვითღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილ მეთოდს და მოიცავს შემენის ხარჯებს, ტრანსპორტირების ხარჯებს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

შპს „Gud company გუდ კომპანი“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადამინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი აღარ მიესადაგება ფინანსურ ანგარიშგებებს, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით აღარ გამოიყენება.

გადავადებული საგადასახადო შემოსავალი აღარ არის შესაბამისი ფინანსურ ანგარიშგებისთვის განახლებული საგადასახადო კოდექსის გამო.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება დამფუძნებლების გადაწყვეტილებით. აღიარებაც ხდება სამართლიანი ღირებულებით შენატანის განხორციელების მომენტში, როგორც კომპანიაში დამფუძნებლის შენატანი.

სამართლიანი ღირებულების შეფასება

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ფასდება იმ ვარაუდების გამოყენებით, რომელსაც ბაზრის მონაწილეები გამოიყენებენ აქტივის ან ვალდებულების ფასის განსაზღვრისას, იმ ვარაუდით, რომ ბაზრის მონაწილეები იმოქმედებენ საუკეთესო ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე.

კომპანია იყენებს შეფასების მეთოდებს, რომელიც შესაფერისია აღნიშნულ გარემოებებში და რომელთან დაკავშირებითაც არსებობს სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის საჭირო მონაცემები.

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის მდგენელის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისას:

დონე 1 - იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკოტირებული) ფასებით;

დონე 2 - შეფასების მეთოდით, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მდგენელის პირდაპირი და არაპირდაპირი განსაზღვრა;

დონე 3 - შეფასების მეთოდით, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შესაძლებლობისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მდგენელის განსაზღვრა.

შპს „Gud company გუდ კომპანი“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

3 IASB-ს მიერ გამოცემული ახალი ან განახლებული სტანდარტები და განმარტებები

2021 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა რიგი ახალი სტანდარტებისა და შესწორებების, თუმცა მათ გავლენა არ ჰქონიათ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

ა) ფასს 4-ის, ფასს 7-ის, ფასს 9-ის, ფასს 16-ისა და ბასს 39-ის შესწორებები – საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის რეფორმა მეორე ეტაპი;

ბ) ფასს 16-ის შესწორებები - კოვიდ 19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა.

ა) ფასს 4-ის, ფასს 7-ის, ფასს 9-ის, ფასს 16-ისა და ბასს 39-ის შესწორებები – საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის რეფორმა მეორე ეტაპი .ამ შესწორებების შედეგად, საწარმოს:

- არ მოეთხოვება რეფორმით მოთხოვნილი ცვლილებების გამო ფინანსური ინსტრუმენტების აღიარების შეწყვეტა ან მათი საბალანსო ღირებულების კორექტირება, არამედ ამის ნაცვლად საწარმო შეცვლის ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს, რათა ასახოს ალტერნატიული საორიენტაციო საბაზისო განაკვეთის ცვლილება;
- არ მოეთხოვება ჰეჯირების აღრიცხვის შეწყვეტა მხოლოდ იმის გამო, რომ ის რეფორმით გათვალისწინებულ ცვლილებებს ახორციელებს, თუკი ჰეჯირება აკმაყოფილებს ჰეჯირების აღრიცხვის სხვა კრიტერიუმებს; და
- მოეთხოვება ინფორმაციის გამჟღავნება რეფორმის შედეგად წარმოქმნილი ახალი რისკების შესახებ და ასევე იმის თაობაზე, როგორ მართავს საწარმო ალტერნატიულ საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთებზე გადასვლის პროცესს.

ეს შესწორებები ეხება 2021 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებს.

ბ) ფასს 16 -ის შესწორებები - კოვიდ 19 -თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა.

ფასს 16 -ის „იჯარა“ შესწორებები ეხება გამარტივებულ მიდგომას, რომელიც საწარმოს უფლებას აძლევს, გარკვეული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, საიჯარო ქირის დათმობა არ აღრიცხოს როგორც იჯარის მოდიფიკაცია, თუ იგი წარმოიშობა კოვიდ-19-ის პანდემიის პირდაპირი შედეგის სახით.

ფასს 16 -ის შესწორებები კოვიდ- 19 -თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა 2021 წლის 30 ივნისის შემდეგამ შესწორების თანახმად, ზემოაღნიშნული გამარტივებული მიდგომის გამოყენება ნებადართულია ისეთი საიჯარო ქირის დათმობების მიმართ, რომლებიც იწვევს მხოლოდ იმ საიჯარო გადახდების შემცირებას, რომლებიც თავდაპირველი ხელშეკრულების თანახმად გადახდას ექვემდებარებოდა არაუგვიანეს 2022 წლის 30 ივნისისა, იმ პირობით, თუ დაკმაყოფილებულია ამ გამარტივებული მიდგომის გამოყენებისთვის დადგენილი სხვა პირობები.

ეს შესწორება ძალაშია 2021 წლის 1 აპრილიდან. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება, მათ შორის იმ ფინანსურ ანგარიშგებებში, რომლებიც გამოსაცემად დამტკიცებული არ იყო ამ შესწორების დოკუმენტის ძალაში შესვლის თარიღისთვის. თუ საწარმო ვადაზე ადრე გამოიყენებს დოკუმენტს „კოვიდ 19 -თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა“, მაშინ მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს

შპს „Gud company გუდ კომპანი“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

განმარტებით შენიშვნებში (მათ შორის ზემოთ მოცემულ პუნქტში განსაზღვრული მოთხოვნები) და ამასთან წარმოადგინოს დამატებითი ინფორმაცია.

ზემოთ აღნიშნული ცვლილებები არ ახდენენ გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

გამოცემული სტანდარტები, რომლებიც არ არის შესული ძალაში

სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. კომპანია ამ სტანდარტების მიღებას შეძლებისდაგვარად აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე.

- ა) ფასს 16 -ის შესწორებები - „კოვიდ- 19 -თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა“;
- ბ) ფასს 17 – სადაზღვევო ხელშეკრულებები;
- გ) ბასს 1 -ის შესწორებები - „ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებებად“;
- დ) ბასს 16 -ის შესწორებები - „ძირითადი საშუალებები: დანიშნულებისამებრ გამოყენებამდე მიღებული შემოსულობა“;
- ე) ფასს 3 -ის შესწორებები - „კონცეპტუალური საფუძველების მითითება“;
- ვ) ბასს 37 -ის შესწორებები - „წამგებიანი ხელშეკრულებები – ხელშეკრულების შესრულების დანახარჯი“;
- ზ) „ფასს სტანდარტების ყოველწლიური გაუმჯობესება - 2018–2021 წლების ციკლი“;
- თ) ფასს 10 -ისა და ბასს 28 -ის შესწორებები - „აქტივების გაყიდვა ან საკუთარ კაპიტალში შეტანა მარაგებსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის დადებული გარიგების ფარგლებში“;
- ი) ბასს 1-ისა და ფასს სტანდარტების პრაქტიკის დებულება 2 -ის „ინფორმაციის გამჟღავნება სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ“ შესწორებები;

კ) ბასს 8 -ის შესწორებები _ ინფორმაციის გამჟღავნება სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ და სააღრიცხვო შეფასების განმარტება;

ლ) ბასს 12 -ის შესწორებები _ გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი ოპერაციიდან წარმოშობილ აქტივებსა და ვალდებულებებთან.

4 ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიას ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება ქართულ ბანკებში მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებული თანხებისგან და სალაროში არსებული თანხებისგან.

	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
ნაღდი ფული სალაროში	59,914	59,347
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	62,009	27,144
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	121,923	86,491

არ არის არსებითი განსხვავება ფულის და ფულის ეკვივალენტების სამართლიან და საბალანსო ღირებულებებს შორის.

შპს „Gud company გუდ კომპანი“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

5 მარაგები

	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
მზა პროდუქცია	3,847,141	4,160,152
მცირეფასიანი ინვენტარი	19,196	13,336
სულ მარაგები	3,866,338	4,173,488

6 მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	7,946,812	7,394,944
გამოკლებული: საექვო მოთხოვნების რეზერვი	(2,638,950)	(2,168,357)
სულ მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	5,307,862	5,226,588

კომპანიამ მიზანშეწინილად მიიჩნია საექვო მოთხოვნების რეზერვის შექმნა 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის. მოთხოვნების მიწოდებიდან და მომსახურებიდან ცხრილი ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ქვემოთ:

მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან ცხრილი ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ქვემოთ:

ვადაგადაცილების დღეები	< 30	31-60	61-90	91-120	120-180	181-360	>360	სულ
ვადაგადაცილების პროცენტულობა	9.7%	10%	11%	9%	9%	24%	75%	-
მოთხოვნები	2,125,677	917,931	755,346	399,103	667,770	856,019	2,040,385	7,946,812
საექვო ვალების რეზერვი	(205,657)	(89,848)	(37,767)	(39,910)	(166,943)	(428,009)	(1,457,160)	(2,638,950)
სულ მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,920,020	828,083	717,578	359,193	500,828	428,009	583,225	5,307,862

მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან ცხრილი ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ქვემოთ:

ვადაგადაცილების დღეები	< 30	31-60	61-90	91-120	120-180	181-360	>360	სულ
ვადაგადაცილების პროცენტულობა	3%	4%	7%	12%	27%	52%	66%	-
მოთხოვნები	1,492,747	1,181,955	755,346	399,103	667,770	856,019	2,040,385	7,394,945
საექვო ვალების რეზერვი	(50,753)	(51,641)	(55,896)	(49,489)	(182,969)	(448,554)	(1,327,465)	(2,168,357)
სულ მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,441,993	1,130,314	699,450	349,615	484,801	407,465	712,920	5,226,588

შპს „Gud company გუდ კომპანი“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ცვლილება საექვო ვალების რეზერვში

	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
ბალანსი ნაშთი 1 იანვრისთვის	2,168,357	748,000
პლიუს: მიმდინარე პერიოდის საექვო ვალები	470,593	1,420,357
მინუს: მიმდინარე პერიოდში ჩამოწერილი უიმედო ვალები	-	-
ნაშთი 31 დეკემბრისთვის	2,638,950	2,168,357

7 საგადასახადო აქტივები

	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
მოგების გადასახადი	(38,696)	(30,397)
საშემოსავლო გადასახადი	71,520	7,535
დღგ გადასახადი	169,359	331,486
ქონების გადასახადი	(16,306)	(13,762)
იმპორტის გადასახადი	(74)	(74)
სულ საგადასახადო აქტივები	185,803	294,788

8 ძირითადი საშუალებები

	სატრანსპორტო საშუალებები	კომპიუტერუ ლი ტექნიკა	მანქანა- დანადგარები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	* საიჯარო აქტივის გამოყენების უფლება	სულ
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის	178,014	139,770	16,780	105,933	681,225	1,121,722
დამატება	31,560	25,365	-	23,064	558,025	638,013
გასვლა	(31,957)	(33,910)	-	(663)	-	(66,530)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის	177,617	131,225	16,780	128,334	1,239,250	1,693,205
დამატება	123,957	14,013	-	339	570,384	708,694
გასვლა	(47,070)	(14,018)	-	-	(681,225)	(742,283)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის	254,533	131,220	16,780	128,673	1,128,409	1,659,616

დაგროვილი ცვეთა

ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის	(67,917)	(67,318)	(82,46)	(51,201)	(280,327)	(475,010)
დამატება	(19,028)	(29,223)	(16,91)	(11,957)	(319,276)	(381,174)
გასვლა	14,399	20,054	-	130	-	34,583
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის	(72,546)	(76,487)	(9,937)	(63,028)	(599,603)	(821,601)
დამატება	(27,957)	(22,893)	(1,686)	(10,550)	(428,473)	(491,200)
გასვლა	20,366	11,734	-	-	679,334	711,434
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის	(79,777)	(87,647)	(11,623)	(63,028)	(348,742)	(601,367)

ნარჩენი ღირებულება

2019 წლის 31 დეკემბრის	110,097	72,452	8,534	54,732	400,899	646,712
2020 წლის 31 დეკემბრის	105,070	54,738	6,843	65,306	639,647	871,604
2021 წლის 31 დეკემბრის	174,756	43,574	5,156	55,095	779,667	1,058,249

10 -34 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს „Gud company გუდ კომპანი“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

*საიჯარო აქტივის გამოყენების უფლება მოიცავს შენობებსა და სატრანსპორტო საშუალებებს.

9 არამატერიალური აქტივები

	არამატერიალური აქტივები
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	67,208
დამატება	-
გასვლა	-
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	67,208
დამატება	-
გასვლა	-
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	67,208
წლიური ცვეთა	(4,434)
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	-
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	(8,615)
წლიური ცვეთა	(4,434)
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	-
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	(13,039)
ნარჩენი ღირებულება	
2019 წლის 31 დეკემბერს	63,027
2020 წლის 31 დეკემბერს	58,593
2021 წლის 31 დეკემბერს	54,169

10 საიჯარო ვალდებულებები

თავისი სადისტრიბუციო საქმიანობისთვის კომპანიას გაფორმებული აქვს იჯარის ხელშეკრულებები შენობებსა და ავტომობილებზე. ზოგიერთი იჯარის ხელშეკრულება შეიცავს ვადის გაგრძელების და შეწყვეტის უფლებას და ცვალებად საიჯარო გადახდებს.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	441,124
შემოსვლები	558,025
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	38,340
საიჯარო ვალდებულების ძირითადი ნაწილის გადახდები	(464,739)
საიჯარო ვალდებულებაზე პროცენტის გადახდა	-
--2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	572,750
შემოსვლები იჯარის მოდიფიკაციისგან	570,385
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	51,872
ზარალი საიჯარო ვალდებულების მოდიფიკაციისგან	95,470
საიჯარო ვალდებულების ძირითადი ნაწილის გადახდები	(495,053)
საიჯარო ვალდებულებაზე პროცენტის გადახდა	-
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	795,424

10 -34 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს „Gud company გუდ კომპანი“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

11 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
ვალდებულებები ადგილობრივი მომწოდებლების მიმართ	11,451,260	11,479,118
ვალდებულებები საპენსიო სააგენტოს მიმართ	17,558	15,161
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11,468,818	11,494,280

12 შემოსავალი რეალიზაციიდან

	2021	2020
შემოსავალი ადგილობრივი რეალიზაციიდან	21,606,000	22,957,287
საქონლის დაბრუნება/ფასდათმობა	(356,236)	(463,194)
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	21,249,764	22,494,093

13 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	2021	2020
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	14,319,824	15,237,639
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	14,319,824	15,237,639

14 საკომისიო შემოსავლები

კომპანიის საკომისიო შემოსავლები შედგება კომპანიებისთვის გაწეული სადისტრიბუციო მომსახურებისგან, რომელიც მოიცავს დამკვეთის პროდუქციის მიწოდებასა და განთავსებას სხვადასხვა სავაჭრო ქსელებსა თუ ობიექტებში.

საკომისიო შემოსავლები	2021	2020
შემოსავალი სადისტრიბუციო მომსახურებიდან	-	513,265
სულ საკომისიო შემოსავლები	-	513,265

შპს „Gud company გუდ კომპანი“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

15 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2021	2020
შრომის ანაზღაურება	1,316,769	1,055,668
ცვეთა და ამორტიზაცია	493,730	382,856
საპენსიო შენატანის ხარჯი	49,503	49,167
კომპიუტერული მომსახურების ხარჯები	36,185	30,786
დაზღვევის ხარჯი	33,222	28,940
ტექნიკური მომსახურების ხარჯი	37,701	43,182
საკანცელარიო ხარჯი	14,525	12,797
კომუნალური გადასახადები	23,505	13,494
საკომუნიკაციო ხარჯები	22,681	19,604
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	98,388	109,353
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	2,126,209	1,745,847

16 რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯი

რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები	2021	2020
შრომის ანაზღაურება	1,631,111	1,798,606
რეკლამის ხარჯი	2,603,431	2,635,210
საწვავის ხარჯი	361,051	308,953
ტრანსპორტირების ხარჯი	98,022	86,280
სულ რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები	4,693,615	4,829,049

17 არასაოპერაციო ხარჯები

არასაოპერაციო ხარჯები	2021	2020
მარაგების ჩამოწერის ხარჯი	3,011	6,705
საპროცენტო ხარჯები	52,978	38,276
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	19,558	31,397
სულ არასაოპერაციო ხარჯები	171,017	76,377

18 მოგების გადასახადი

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც ძირითადად ეხება მოგების გადასახადით დაბეგვრას.

10 -34 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს „Gud company გუდ კომპანი“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

სხვა დაბეგვრის რეჟიმებთან ერთად, ცვლილებებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი არის ის, რომ დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

2021 საანგარიშგებო წლისთვის კომპანიას მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს 8,296 ლარს (2020: 20,307 ლარს).

19 გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს სასამართლო გადაწყვეტილებებისა და დებულებების ხშირი ცვლილება. საგადასახადო ნორმები ხშირად ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია კომპანიას დააკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან სამი წელია გასული.

ზემოთხსენებული ვითარებები წარმოქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად. მიუხედავად ამისა, შესაბამისი საგადასახადო ორგანოების კომპანიისგან განსხვავებულმა პოზიციამ შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

20 ფინანსური რისკების მართვა

საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე, ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით შეიძლება იდგეს სხვადასხვა რისკების წინაშე. რისკის უმთავრესი სახეებია: საბაზრო რისკი, საკრედიტო რისკი და ლიკვიდურობის რისკი.

შპს „Gud company გუდ კომპანი“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

კომპანიის მიერ გამოყენებული მთავარი ფინანსური ინსტრუმენტები არის შემდეგი:

31 დეკემბერი, 2021	ლარი	აშშ დოლარი
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	121,923	-
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	5,307,862	-
სულ	5,429,785	-
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11,468,818	-
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე	146,953	-
საიჯარო ვალდებულებები	795,424	-
სულ	12,411,196	-
წმინდა სავალუტო პოზიცია	(6,981,410)	-
31 დეკემბერი, 2020	ლარი	აშშ დოლარი
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	86,491	-
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	5,226,588	-
სულ	5,313,079	-
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11,494,280	-
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე	130,448	-
საიჯარო ვალდებულებები	572,750	-
სულ	12,197,477	-
წმინდა სავალუტო პოზიცია	(6,884,398)	-

საკრედიტო რისკი - საკრედიტო რისკი დაკავშირებულია ზემოთ მოცემული ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან. კომპანია განიცდის საბაზრო რისკის მიმართ მგრძნობიარობას.

საბაზრო რისკი - გამომდინარეობს (ა) საპროცენტო რისკში (ბ) სავალუტო რისკში, რომელზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები.

სავალუტო რისკი - კომპანიაზე ზემოქმედებას ახდენს მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე სავალუტო გაცვლითი კურსის დომინანტურ დონეებში მომხდარი ცვლილებები.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის მგრძნობიარობა უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის მიმართ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

10 -34 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს „Gud company გუდ კომპანი“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

შემდეგი ცხრილი გვიჩვენებს მოგების ან ზარალისა და კაპიტალის მგრძნობელობას სავალუტო გაცვლითი კურსის ცვლილების მიმართ ანგარიშგების პერიოდის ბოლოს, ყველა სხვა ცვლადების მუდმივობის პირობებში:

31 დეკემბერი 2021	ზეგავლენა მოგება-ზარალზე
აშშ დოლარის 10%-თ გამყარება	-
აშშ დოლარის 10%-თ გაუფასურება	-

31 დეკემბერი 2020	ზეგავლენა მოგება-ზარალზე
აშშ დოლარის 10%-თ გამყარება	-
აშშ დოლარის 10%-თ გაუფასურება	-

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების, გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. ხელმძღვანელობა აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების ანგარიშგების ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს. ხელმძღვანელობა ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ქვემოთ მდებარე ცხრილში მოყვანილია კომპანიის ვალდებულებები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით დარჩენილი საკონტრაქტო ღირებულებით. თანხები რომლებიც მოცემულია ვადების ცხრილში წარმოადგენს საკონტრაქტო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ამგვარი არა დისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე არსებულ ნაშთებისგან რადგან მასში ნაშთები წარმოადგენილია დისკონტირებული ღირებულებით. გადახდები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია მიმდინარე კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრისთვის მოცემულია ქვემოთ:

შპს „Gud company გუდ კომპანი“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ლიკვიდურობის ბალანსი.

	1 წელზე >	1 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე <	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები	121,923	-	-	121,923
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	5,307,862	-	-	5,307,862
აქტივები	5,429,785	-	-	5,429,785
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11,468,818	-	-	11,468,818
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე	146,953	-	-	146,953
საიჯარო ვალდებულებები	431,261	364,163	-	795,424
ვალდებულებები	12,047,033	364,163	-	12,411,196
ბალანსი	(6,617,248)	(364,163)	-	(6,981,410)

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ლიკვიდურობის ბალანსი.

	1 წელზე >	1 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე <	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები	86,491	-	-	86,491
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	5,226,588	-	-	5,226,588
აქტივები	5,313,079	-	-	5,313,079
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11,494,280	-	-	11,494,280
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე	130,448	-	-	130,448
საიჯარო ვალდებულებები	404,591	168,159	-	572,750
ვალდებულებები	12,029,319	168,159	-	12,197,477
ბალანსი	(6,716,240)	(168,159)	-	(6,884,399)

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

კომპანია იყენებს გაუფასურების 3 დონიან მოდელს რომელიც დაფუძნებულია ფინანსური აქტივის საწყისი აღიარების შემდგომ მისი საკრედიტო რისკის ხარისხის ცვლილებაზე, რომელიც ჩამოთვლილია ქვემოთ:

- ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც არ არის გაუფასურებული საწყისი აღიარებისას, კლასიფიცირდება როგორც I დონე და მისი საკრედიტო რისკი განგრძობითად კონტროლირებადია კომპანიის მიერ.
- თუ საწყისი აღიარების შემდგომ დაფიქსირდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, მაშინ ფინანსური ინსტრუმენტი გადადის II დონეში, მაგრამ ამ ეტაპზე არ მიიჩნევა გაუფასურებულად.
- თუ ფინანსური ინსტრუმენტი გაუფასურებულია, მაშინ ის გადადის III დონეში.
- I დონის ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის პროპორციული წილი მომდევნო 12 თვეში მოსალოდნელი მოვლენებისა. ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი II და III დონისთვის გამოითვლება როგორც არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

შპს „Gud company გუდ კომპანი“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს კომპანიის მიერ გამოყენებულ გაუფასურების მეთოდს.

I დონე	II დონე	III დონე
(საწყისი აღიარება)	(საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა საწყისი აღიარების შემდეგ)	(გაუფასურებული აქტივი)
12-თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	არსებობის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ხარჯი	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

კომპანია ფინანსური ანგარიშგების ყველა ფინანსურ აქტივს, გარდა სავაჭრო მოთხოვნებისა, ასახავს I დონეში როგორც 2021 წლის დასაწყისში ასევე 2021 წლის ბოლოს.

კომპანია ფასს 9-ის გამარტივებულ მიდგომას იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, რაც გულისხმობს მომსახურების ვადის განმავლობაში მოსალოდნელი ზარალის გამოყენებას ყველა სავაჭრო მოთხოვნებისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გასაზომად სავაჭრო მოთხოვნები ჯგუფდება საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლების მიხედვით (მოთხოვნები შესაძლებელია დაჯგუფდეს გეოგრაფიული რეგიონის, პროდუქტის ტიპის, მომხმარებლის რეიტინგის, ვადაგადაცილებული დღეების, უზრუნველყოფის ან სავაჭრო საკრედიტო დაზღვევის მიხედვით).

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვას აწარმოებენ კომპანიის მფლობელები იმის და მიხედვით თუ როგორი მოთხოვნები აქვთ მათ კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით. კომპანია აწარმოებს კაპიტალის სტრუქტურის მართვას მხოლოდ საქართველოში არსებული საკანონმდებლო მოთხოვნების გამო.

21 გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ტრანზაქციები:	2021	2020
ხელფასის ხარჯი	356,442	284,640
შესყიდვები	12,870,181	15,328,241
საკომისიო შემოსავლები	-	513,265
სატრანსპორტო მომსახურების ხარჯი	-	-
ნაშთები:	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	2,231,359	414,356
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11,005,854	9,480,962
გადასახდელი ხელფასები	12,685	18,612
მიღებული სესხები	30,608	-
საიჯარო ვალდებულებები	379,592	105,815

10 -34 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

22 მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდეგ

COVID-19 კორონავირუსის პანდემიამ და მზარდმა დამაბულობამ უკრაინაში 2022 წელს კიდევ უფრო გაზარდა გაურკვევლობა ბიზნეს გარემოში, გლობალური ეკონომიკური ზრდა მნიშვნელოვნად შემცირდა.

ვირუსის ფართო მასშტაბით გავრცელების, გეოპოლიტიკური დამაბულობისა და ნავთობის ფასების მნიშვნელოვანი შემცირების ფონზე, მსოფლიო მასშტაბით რისკები კიდევ უფრო გაზრდილია. შესაბამისად, ეკონომიკური პროგნოზების გარშემო არსებული გაურკვევლობა ჩვეულებრივზე მაღალია.

მიუხედავად აღნიშნული გაურკვევლობისა, ცალსახად უნდა აღინიშნოს რომ კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე არ არის მოსალოდნელი ბიზნეს ეფექტურობის შემცირება შესაბამისად პანდემიის გამო დამატებითი ღონისძიებების გატარება სამომავლოდ არ იგეგმება. კომპანია უცვლელად მიჰყვება პანდემიამდე შემუშავებულ სამომავლო განვითარების გეგმას.

ბალანსის თარიღის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომელიც გამოიწვევდა დამატებით შესწორებებს და ცვლილებებს აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

საქართველო
შპს „გუდ კომპანი“
0180 თბილისი
ჭყონდიდელის ქ.№56

GEORGIA
“GUD Company” Ltd.
56, Chkondideli Str.
Tbilisi, 0180

---30.09.2022

მმართველობითი ანგარიშგება კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა

1. საწარმოს ბიზნეს განვითარება:

შპს „გუდ კომპანი“ (შემდგომში კომპანია. ს/კ 400107406) დაარსდა 2013 წლის 29 დეკემბერს იურიდიული მის. ქ.თბილისი ჭყონდიდელის 56, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია. მისი დამფუძნებლები არიან:

შპს. „კალინა ჯორჯია“ – 41%

შპს. „ბიდაჯი კომპანი“ – 30%

ფ/პ ნუკრი თანდილაშვილი - 19%

ფ/პ ვლადიმერ კავლელაშვილი - 10%

შპს „გუდ კომპანი“ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს პირადი ჰიგიენის, საყოფაცხოვრებო ქიმიის, საკვები პროდუქტების დისტრიბუციას. კომპანია წარმოადგენს მხოლოდ სადისტრიბუციო საქმიანობის მაორგანიზებელ სუბიექტს.

გუდ კომპანის საქმიანობის ძირითად მიზანს წარმოადგენს მოიძიოს მცირე და საშუალო კომპანიები და შესთავაზოს მათ სამართლიანობის დაცვის პრინციპით (არ მოახდინოს მათი ბრენდების მისაკუთრება და პირდაპირი იმპორტი) დისტრიბუცია მთელი საქართველოს მასშტაბით. გააერთიანოს მათი ბრენდები ერთ პორტფელში, შეამციროს სადისტრიბუციო ხარჯები და შექმნას ჯანსაღი გარემო არსებული ბრენდების განვითარებისთვის.

შპს „გუდ კომპანი“ ახორციელებს იმპორტირებული პროდუქციის დისტრიბუციას. იმპორტირებულ პროდუქციას ყიდულობს საშუამავლო კომპანიების მეშვეობით, უმეტესობაც ადრეულ პერიოდში თვითონ იყვნენ დისტრიბუტორები და ბაზარზე არსებული ცვლილებების, გამოწვევებისა თუ გაზრდილი კონკურენციის გამო დაკარგეს პოზიციები. გუდ კომპანი ასეთი კომპანიების ბრენდების გაერთიანებას ახდენს და პოზიციონირებს უფრო მეტი დამაჯერებლობით.

კომპანიის შემოსავლები 2021 წელს 2020 წელთან შედარებით 5%-ით შემცირდა. (შემცირება გამოიწვია რძის პროდუქტების დისტრიბუციის შეწყვეტამ 2021 წელს, რომელიც 2020 წლის ბრუნვაში 17,5% იყო).

საქართველო
S.p.s “გუდ კომპანი”
0180 Tbilisi
Chkondideli sq# 56

GEORGIA
“GUD Company” Ltd.
56, Chkondideli Str.
Tbilisi, 0180

---30.09.2022

მმართველობითი ანგარიშგება კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა

1. საწარმოს ბიზნეს განვითარება:

შპს „გუდ კომპანი“ (შემდგომში კომპანია. ს/კ 400107406) დაარსდა 2013 წლის 29 დეკემბერს იურიდიული მის. ქ.თბილისი ჭყონდიდელის 56, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია. მისი დამფუძნებლები არიან:

შპს. „კალინა ჯორჯია“ – 41%

შპს. „ბიდაჯი კომპანი“ – 30%

ფ/პ ნუკრი თანდილაშვილი - 19%

ფ/პ ვლადიმერ კავლელაშვილი - 10%

შპს „გუდ კომპანი“ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს პირადი ჰიგიენის, საყოფაცხოვრებო ქიმიის, საკვები პროდუქტების დისტრიბუციას. კომპანია წარმოადგენს მხოლოდ სადისტრიბუციო საქმიანობის მათგან, რომელიც სუბიექტს.

გუდ კომპანიის საქმიანობის ძირითად მიზანს წარმოადგენს მოიძიოს მცირე და საშუალო კომპანიები და შესთავაზოს მათ სამართლიანობის დაცვის პრინციპით (არ მოახდინოს მათი ბრენდების მისაკუთრება და პირდაპირი იმპორტი) დისტრიბუცია მთელი საქართველოს მასშტაბით. გააერთიანოს მათი ბრენდები ერთ პორტველში, შეამციროს სადისტრიბუციო ხარჯები და შექმნას ჯანსაღი გარემო არსებული ბრენდების განვითარებისთვის.

შპს „გუდ კომპანი“ ახორციელებს იმპორტირებული პროდუქციის დისტრიბუციას. იმპორტირებულ პროდუქციას ყიდულობს საშუამავლო კომპანიების მეშვეობით, უმეტესობაც ადრეულ პერიოდში თვითონ იყვანენ დისტრიბუტორები და ბაზარზე არსებული ცვლილებების, გამოწვევებისა თუ გაზრდილი კონკურენციის გამო დაკარგეს პოზიციები. გუდ კომპანი ასეთი კომპანიების ბრენდების გაერთიანებას ახდენს და პოზიციონირებს უფრო მეტი დამაჯერებლობით.

კომპანიის შემოსავლები 2021 წელს 2020 წელთან შედარებით 5%-ით შემცირდა. (შემცირება გამოიწვია რძის პროდუქტების დისტრიბუციის შეწყვეტამ 2021 წელს, რომელიც 2020 წლის ბრუნვაში 17,5% იყო).

კომპანიამ დააგროვა გამოცდილება, თუ როგორ წარმართოს საქმიანობა ქიმია-პარფიუმერიის, საკვები პროდუქტების ეკონომ, საშუალო, პრემიუმ სეგმენტის კატეგორიის პროდუქტების პოზიციების გასამყარებლად. გაითვალისწინოს თითოეული სეგმენტის თავისებურებები, პროდუქტების არსებული საბაზრო წილი, მათი პოტენციალი. შექმნას სტრატეგიული გეგმა და მოქნილი სავაჭრო პოლიტიკა.

2. გუდ კომპანის სამომავლო განვითარების გეგმა:

გუდ კომპანი სადისტრიბუციო კომპანიებში შორის გამოირჩევა ბიზნეს მოდელის განხვავებული სქემით. უმთავრესი პრინციპია ყოველი ახალი შესაძლებლობა (ახალი ბრენდები) განვიხილოთ არსებულ კომპანებთან პარტნიორობის ჭრილში და არ ვისარგებლოდ სისუსტეებით, არ ჩამოვართვათ ბრენდები და განვითარდეთ მხოლოდ მათთან ერთად. ხელი შევუწყოთ იფუნქციონირონ, როგორც იმპორტიორმა კომპანიებმა და მიიღონ შესაბამისი შემოსავლები.

გუდ კომპანის მიზანია მოახდინოს კომპანიების, ბრენდების გაერთიანება „ძალა ერთობაშია“ პრინციპის ქვეშ.

მასშტაბის ეკონომიის გავლენა ხარჯების დაზოგვასა და განვითარებაზე ერთ-ერთი კარგი შესაძლებლობაა.

3. კვლევისა და განვითარების მიმოხილვა:

კომპანიას 2021 წლის განმავლობაში არ ჩაუტარებია კვლევები.

4. ფილიალები

გუდ კომპანს ფილიალები აქვს კახეთში, შიდა ქართლში, იმერეთსა და აჭარაში, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება დისტრიბუცია მთელი საქართველოს მასშტაბით.

5. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები:

ინფორმაცია კომპანიის ძირითადი რისკების შესახებ იხილეთ ფინანსურ ანგარიშგებაში.

6. Covid-19 ის გავლენა:

გლობალურმა COVID-19-ის პანდემიამ საწყის ეტაპზე მრავალი კითხვა, გამოწვევა გააჩინა კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებით. შექმნილი პრობლემებიდან გამომდინარე სადისტრიბუციო ბიზნესის როლი ერთმნიშვნელოვნად გაიზარდა. უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა მენეჯმენტის დროულმა და უშეცდომო გადაწყვეტილებებმა.

პანდემიის პირობებში კომპანიის ფუნქციონირების გაძნელების საკომპენსაციოდ რამდენიმე ხელისშემწყობი შიდა და გარე ფაქტორი ამოქმედდა:

- გაზრდილი მოთხოვნა პირადი ჰიგიენის საშუალებებზე
- გაზრდილი მოთხოვნა სარეცხ საშუალებებზე
- მცირე კომპანიების საქმიანობის შეჩერება
- ქსელური მარკეტების წილის ზრდა ეკონომ სეგმენტის პროდუქციის მიმართულებით

კომპანიამ დააგროვა გამოცდილება, თუ როგორ წარმართოს საქმიანობა ქიმი-პარფიუმერიის, საკვები პროდუქტების ეკონომ, საშუალო, პრემიუმ სეგმენტის კატეგორიის პროდუქტების პოზიციების გასამყარებლად. გაითვალისწინოს თითოეული სეგმენტის თავისებურებები, პროდუქტების არსებული საბაზრო წილი, მათი პოტენციალი. შექმნას სტრატეგიული გეგმა და მოქნილი სავაჭრო პოლიტიკა.

2. გუდ კომპანის სამომავლო განვითარების გეგმა:

გუდ კომპანი სადისტრიბუციო კომპანიებში შორის გამოირჩევა ბიზნეს მოდელის განხვავებული სქემით. უმთავრესი პრინციპია ყოველი ახალი შესაძლებლობა (ახალი ბრენდები) განვიხილოთ არსებულ კომპანებთან პარტნიორობის ჭრილში და არ ვისარგებლოდ სისუსტეებით, არ ჩამოვართვათ ბრენდები და განვითარდეთ მხოლოდ მათთან ერთად. ხელი შევუწყოთ იფუნქციონირონ, როგორც იმპორტიორმა კომპანიებმა და მიიღონ შესაბამისი შემოსავლები.

გუდ კომპანის მიზანია მოახდინოს კომპანიების, ბრენდების გაერთიანება „ძალა ერთობაშია“ პრინციპის ქვეშ.

მასშტაბის ეკონომიის გავლენა ხარჯების დაზოგვასა და განვითარებაზე ერთ-ერთი კარგი შესაძლებლობაა.

3. კვლევისა და განვითარების მიმოხილვა:

კომპანიას 2021 წლის განმავლობაში არ ჩაუტარებია კვლევები.

4. ფილიალები

გუდ კომპანს ფილიალები აქვს კახეთში, შიდა ქართლში, იმერეთსა და აჭარაში, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება დისტრიბუცია მთელი საქართველოს მასშტაბით.

5. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები:

ინფორმაცია კომპანიის ძირითადი რისკების შესახებ იხილეთ ფინანსურ ანგარიშგებაში.

6. Covid-19 ის გავლენა:

გლობალურმა COVID-19-ის პანდემიამ საწყის ეტაპზე მრავალი კითხვა, გამოწვევა გააჩინა კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებით. შექმნილი პრობლემებიდან გამომდინარე სადისტრიბუციო ბიზნესის როლი ერთმნიშვნელოვნად გაიზარდა. უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა მენეჯმენტის დროულმა და უშეცდომო გადაწყვეტილებებმა.


პანდემიის პირობებში კომპანიის ფუნქციონირების გამწვანების საკომპენსაციოდ რამდენიმე ხელისშემწყობი შიდა და გარე ფაქტორი ამოქმედდა:

- გაზრდილი მოთხოვნა პირადი ჰიგიენის საშუალებებზე
- გაზრდილი მოთხოვნა სარეცხ საშუალებებზე
- მცირე კომპანიების საქმიანობის შეჩერება
- ქსელური მარკეტების წილის ზრდა ეკონომ სეგმენტის პროდუქციის მიმართულებით

- მენეჯმენტი გამოცდილება შიდა ბაზარზე ტენდენციების განსაზღვრაში და მომწოდებლებთან ურთიერთობაში
- მომწოდებლებთან მრავალწლიანი წარმატებული ურთიერთობები და მათი ნდობა კომპანიის მიმართ

პანდემიის გავლენა 2021 წლის ფინანსურ მაჩვენებლებზე ერთმნიშვნელოვნად უარყოფითი იქნებოდა, თუმცა მენეჯმენტის სწორი გადაწყვეტილებებით გაიზარდა ბაზრის წილი და ნაწილობრივ დაბალანსდა უარყოფითი გავლენა ფინანსურ მაჩვენებლებზე.

შპს "გუდ კომპანი"-ს დირექტორი



- მენეჯმენტი გამოცდილება შიდა ბაზარზე ტენდენციების განსაზღვრაში და მომწოდებლებთან ურთიერთობაში
- მომწოდებლებთან მრავალწლიანი წარმატებული ურთიერთობები და მათი ნდობა კომპანიის მიმართ

პანდემიის გავლენა 2021 წლის ფინანსურ მაჩვენებლებზე ერთმნიშვნელოვნად უარყოფითი იქნებოდა, თუმცა მენეჯმენტის სწორი გადაწყვეტილებებით გაიზარდა ბაზრის წილი და ნაწილობრივ დაბალანსდა უარყოფითი გავლენა ფინანსურ მაჩვენებლებზე.

შპს“გუდ კომპანი“-ს დირექტორი

ნუკრი თანდილაშვილი

(ხელმოწერა)